

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების შემუშავება: მიმოხილვა

ენდრიუ ბრეტუეითი, ქრისტოფერ არნოლდი | 11 მარტი, 2021

2020 წლის მიწურულს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) კიდევ ერთი საეტაპო ღონისძიება განახორციელა გლობალური აუდიტორული პროფესიისთვის ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების გამოქვეყნებით. ამ სტანდარტებს ხარისხის მართვა ახალ დონეზე აჰყავს. სამი ურთიერთდაკავშირებული სტანდარტი აძლიერებს ფირმებს და ახდენს ხარისხის მართვის მიმართ მათი მიდგომის მოდერნიზაციას.

- [ხარისხის მართვის 1-ლი საერთაშორისო სტანდარტი, ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც აუდიტს ან ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას ან სხვა მარწმუნებელ მომსახურებას ან დაკავშირებული სერვისების გარიგებებს](#) (ხმსს /ISQM 1) ახორციელებენ
- [ხარისხის მართვის მე-2 საერთაშორისო სტანდარტი, გარიგების ხარისხის მიმოხილვა](#) (ხმსს/ ISQM 2)
- [აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220 \(შესწორებული\), ხარისხის მართვა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის](#) (შესწორებული ასს 220)

ამ სტანდარტების საშუალებით აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IAASB) ყურადღებას ამახვილებს განვითარებად და მზარდ კომპლექსურ გარემოზე, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების მოლოდინებზე და ხარისხის მართვის პროაქტიური და ადაპტირებადი სისტემების საჭიროებაზე. ამჟამად ხარისხის მართვაზე ფოკუსირებული ახალი პარადიგმა ხელს შეუწყობს პროაქტიურ, რისკზე დამყარებულ მიდგომას და მაღალი ხარისხის გარიგებებს. ფირმებს მოეთხოვებათ ხარისხის მართვის თავისი სისტემების შემუშავება და დანერგვა 2022 წლის 15 დეკემბრისთვის და ამ თარიღიდან მოყოლებული მათი ოპერაციული მზადყოფნის უზრუნველყოფა. აუდიტის გარიგებებისთვის და აღნიშნული გარიგებების ხარისხის მიმოხილვისთვის (EQRs), გარიგებები და მათი ხარისხის შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა განხორციელდეს ახალი სტანდარტების თანახმად 2022 წლის 15 დეკემბერს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის.

ხარისხის მართვის 1-ლი საერთაშორისო სტანდარტი (ISQM/ ხმსს 1)

ხარისხის მართვის 1-ლი საერთაშორისო სტანდარტი (ISQM/ ხმსს 1) ეხება ფირმის პასუხისმგებლობას რომ მას ჰქონდეს ხარისხის მართვის სისტემა. ის ანაცვლებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ შემუშავებულ ხარისხის კონტროლის 1-ლ საერთაშორისო სტანდარტს (ISQC/ ხკსს 1) (*ხარისხის კონტროლის, იმ ფირმების ხარისხის კონტროლის შესახებ, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს და ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას და სხვა მარწმუნებელ და დაკავშირებული სერვისების გარიგებებს*). ხმსს 1 -ის თანახმად ფირმებს მოეთხოვებათ ხარისხის სისტემის შემუშავება ფირმის მიერ განხორციელებული გარიგებების ხარისხის სამართავად. ეს გადასვლა ხარისხის კონტროლიდან ხარისხის მართვაზე მიღწეულია რისკზე დამყარებული მიდგომის დანერგვით, ე.ი. ხარისხის რისკების მართვით.

ხმსს 1 ეხება ყველა ფირმას, რომელიც გარიგებებს ახორციელებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB)

სტანდარტების შესაბამისად. ეს მოიცავს აუდიტს ან ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას, სხვა მარწმუნებელ გარიგებებს, კომპილაციებს ან გარიგებების შეთანხმებულ პროცედურებს.

ხმს 1 შედგება რვა კომპონენტისგან, რომლებიც განმეორებადი და ინტეგრირებული ფორმით მოქმედებენ.

(ა) ფირმის რისკის შეფასების პროცესი. ეს კომპონენტი ეხება რისკზე დამყარებულ მიდგომას და ფირმისგან მოითხოვს ხარისხის ამოცანების განსაზღვრას, ხარისხთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაციას და შეფასებას და აღნიშნული რისკების მიმართ რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას. ხმს 1 მოიცავს ხარისხთან დაკავშირებულ ამოცანებს, რომლებიც ფირმებს უნდა ჰქონდეთ და რომლებიც გათვალისწინებულია ქვევით აღწერილ სხვა კომპონენტებში (უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დამატებითი ამოცანები იყოს საჭირო ხარისხთან მიმართებით). თუმცა, ხმს 1 არ მოიცავს ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს, რამდენადაც ფირმებს მოეთხოვებათ ხარისხის რისკების იდენტიფიკაცია, რომლებიც არსებობს მათი ბუნების და გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნულის მსგავსად, ხმს 1-ში არ არის წარმოდგენილი პასუხები რამდენიმე კონკრეტული საპასუხო ღონისძიებების გარდა, როგორცაა გარიგების ხარისხის მიმოხილვა / შეფასება. შედეგად, ფირმებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ რეაგირების საკუთარი ღონისძიებები.

(ბ) მმართველობა და ხელმძღვანელობა. ეს კომპონენტი ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის მართვის სისტემას. აღნიშნული კომპონენტით გათვალისწინებული გარემოებები მოიცავს ფირმის ერთგულებას ხარისხის მიმართ თავისი კულტურის საშუალებით, მათ შორის, ფირმის როლის გაძლიერებით საზოგადოების ინტერესების დაცვაში, მუდმივად ხარისხიანი გარიგებების განხორციელებით და ხარისხის მნიშვნელობის ხაზგასმით ფირმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში და ქმედებებში. ეს კომპონენტი ასევე მოიცავს ფირმის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობებს და ანგარიშვალდებულებას ხარისხთან დაკავშირებით. ხმს 1 -ის ცალკე მოთხოვნები ეხება ხელმძღვანელი როლების განაწილებას, იმ პირთა კვალიფიკაციებს, ვისზეც განაწილებულია ეს როლები, და საქმიანობის ყოველწლიურ შეფასებას.

(გ) ეთიკის სათანადო მოთხოვნები. ეს კომპონენტი მოითხოვს ხარისხის ამოცანების დადგენას, რომლებიც ეხება პასუხისმგებლობების შესრულებას ეთიკის, მათ შორის, დამოუკიდებლობის სათანადო მოთხოვნების შესაბამისად (მაგ., *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსი (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) I*. ის ასევე ეხება ფირმის გარე მხარეებს, მაგალითად როგორებიცაა ქსელი, ქსელის ფირმები ან მომსახურების პროვაიდერები, ფირმის საჭიროებას რეაგირება მოახდინოს ფირმასთან დაკავშირებულ ეთიკის რელევანტურ მოთხოვნებზე, და ფირმის გარიგებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფირმის გარე მხარეებზე.

(დ) კლიენტებთან ახალი ურთიერთობების დამყარება და გარიგებების გაფორმება და არსებული ურთიერთობების და გარიგებების გაგრძელება. ეს კომპონენტი მოითხოვს ხარისხთან დაკავშირებული ამოცანების დადგენას, რომლებიც ეხება ფირმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იმასთან დაკავშირებით დაამყაროს თუ არა ურთიერთობა ახალ კლიენტთან ან გააგრძელოს თუ არა უკვე არსებულ კლიენტთან არსებული ურთიერთობა ან კონკრეტული გარიგება. ის ითვალისწინებს რომ ფირმის ფინანსურ (მაგ. ჰონორარი და ფირმის მოგება) ან ოპერაციულ (მაგ. ზრდა ან სტრატეგიული მიმართულება) პრიორიტეტებს არ მივყავართ არასათანადო გადაწყვეტილებებამდე იმასთან დაკავშირებით დამყარებულ იქნეს თუ არა კლიენტებთან ახალი ურთიერთობები და მოხდეს თუ არა არსებული ურთიერთობების ან გარიგების გაგრძელება.

(ე) გარიგების შესრულება. ეს კომპონენტი მოითხოვს ხარისხთან დაკავშირებული ამოცანების განსაზღვრას, რომლებიც ეხება ხარისხიანი გარიგებების შესრულებას. ის მოიცავს გარიგების გუნდის და გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობებს (პროფესიული განსჯის და სკეპტიციზმის გამოყენებასთან დაკავშირებით), მიმართულებას, ზედამხედველობას და შეფასებას, კონსულტაციას, აზრთა სხვადასხვაობას და გარიგების დოკუმენტების შეგროვებას და წარმოებას.

(ვ) რესურსები. ეს კომპონენტი მოითხოვს ხარისხთან დაკავშირებული ამოცანების დადგენას, რომლებიც სათანადოდ ეხება რესურსების დროულ მოპოვებას, განვითარებას, გამოყენებას, წარმოებას, განაწილებას და გადაცემას. ის მოიცავს ადამიანურ რესურსებს (კადრები და ადამიანები ფირმის გარეთ, რომლებსაც ფირმა იყენებს, მაგ. გარიგების ხარისხის მიმოხილვა ან კომპონენტის აუდიტორები), ტექნოლოგიურ რესურსებს (მაგ. ი.ტ. აპლიკაციები, აუდიტორული ინსტრუმენტები) და ინტელექტუალურ რესურსებს (მაგ. ფირმის მეთოდოლოგია, მითითებები, შაბლონები, წერილობითი პოლიტიკა ან პროცედურები), რომლებიც საჭიროა ხარისხის მართვის სისტემის ოპერირებისთვის და გარიგებების შესასრულებლად. ის ასევე ეხება ფირმის პასუხისმგებლობებს, როცა ის ქსელს ეკუთვნის და ფირმა ასრულებს ქსელის მოთხოვნებს ან იყენებს ქსელის სერვისებს ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულებისას ისევე, როგორც იყენებს მომსახურების პროვაიდერების რესურსებს და უზრუნველყოფს აღნიშნული რესურსების ადეკვატურობას დასახული მიზნისთვის. ხმს 1 ფოკუსირებულია ფირმის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ხარისხის მართვის საკუთარი სისტემისთვის.

(ზ) ინფორმაცია და კომუნიკაცია. ეს კომპონენტი მოითხოვს ხარისხის ამოცანების დადგენას, რომლებიც ეხება ინფორმაციის დროულ მოპოვებას, გენერაციას ან გამოყენებას ხარისხის მართვის სისტემასთან და ინფორმაციის კომუნიკაციასთან დაკავშირებით ფირმის შიგნით და გარე მხარეებთან. ის ხაზს უსვამს ინფორმაციის უწყვეტ ნაკადს ფირმის შიგნით და გარიგების გუნდებთან და აძლიერებს მტკიცე ორმხრივი კომუნიკაციის საჭიროებას ფირმის მასშტაბით. ის განაპირობებს ფირმების მიერ საინფორმაციო სისტემების შექმნას ინფორმაციის იდენტიფიკაციის, დაფიქსირების და შენარჩუნების პროცესებით და ყურადღებას ამახვილებს ფირმების გარე კომუნიკაციის საჭიროებაზე.

(თ) მონიტორინგის და რემედიაციის პროცესი. ეს კომპონენტი ფირმისგან მოითხოვს სისტემის მონიტორინგს მთლიანობაში რელევანტური, სანდო და დროული ინფორმაციის უზრუნველსაყოფად ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების, დანერგვის და ოპერირების შესახებ (ფოკუსირების შეცვლა მონიტორინგიდან გარიგების დონეზე). მონიტორინგის ღონისძიებები ადაპტირებულ უნდა იქნეს ფირმის მიერ და საჭიროა მოიცავდეს დასრულებული გარიგებების შემოწმებას (კვლავ არსებობს მოთხოვნა გარიგების პარტნიორების ციკლურ საფუძველზე შერჩევის შესახებ). შემოღებულ იქნა ახალი საფუძველი (ჩარჩო) მიგნებების შესაფასებლად და ნაკლოვანებების იდენტიფიკაციისთვის, ისევე როგორც ნაკლოვანებების სიმწვავის და გავრცელების შესაფასებლად, რომელიც მოიცავს ნაკლოვანების მიზეზების მოკვლევას. არსებობს ასევე გაფართოებული მოთხოვნები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენებისას ფირმას მოეთხოვება ფირმის ბუნების და გარემოებების და მისი გარიგებების გათვალისწინება და პროფესიული განსჯის გამოყენება ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებაში, განხორციელებასა და ოპერირებაში. მაგალითად, საინფორმაციო სისტემა ნაკლებად კომპლექსურ ფირმაში შეიძლება არ საჭიროებდეს მკაცრ პოლიტიკას და პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის იდენტიფიკაცია, დაფიქსირება, დამუშავება და წარმოება, რადგან ადგილი აქვს უფრო მეტ უშუალო ჩართულობას ხელმძღვანელობის და ნაკლებად პერსონალის მხრიდან.

ამასთან ერთად, ნაკლებად კომპლექსურ ფორმაში საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხარისხის მართვის სისტემაზე შეიძლება ეკისრებოდეს ერთ მმართველ პარტნიორს, რომლის ერთადერთი მოვალეობაა ფირმის ზედამხედველობა.

ხარისხის მართვის მე-2 საერთაშორისო სტანდარტი (ხმს 2)

ხმს 1-ით გათვალისწინებული ერთ-ერთი კონკრეტული საპასუხო ღონისძიებაა ფირმისგან პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება გარიგებებისთვის, რომლებიც ხარისხის მიმოხილვას (EQR) საჭიროებენ. არსებული ხკს 1-ით გათვალისწინებული მოთხოვნები გამკაცრდა და აძლიერებს ფოკუსირებას გარიგებების შერჩევაზე ხარისხის წინაშე არსებული რისკების საფუძველზე. გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა იძლევა მითითებებს გარიგებების ტიპების, ან გარიგებების მახასიათებლების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა განაპირობონ ხარისხის რისკების წარმოშობა და სადაც გარიგების ხარისხის მიმოხილვა არის სათანადო საპასუხო ღონისძიება აღნიშნულ რისკზე რეაგირებისთვის. მაგალითად, ფირმას შეუძლია განსაზღვროს, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვა არის ხარისხის რისკის მიმართ სათანადო საპასუხო ღონისძიება, რომელიც უკავშირდება გარიგებებს სადაც ადგილი აქვს კომპლექსურობის ან განსჯის მაღალ დონეს ან პრობლემებს, ან სადაც წარმოდგენილი არიან საჯარო დაინტერესების ან საჯარო ანგარიშვალდებულების მახასიათებლების მქონე პირები.

ხმს 2 ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილველის შესაფერისობას, გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულებას და დოკუმენტაციას. ხმს 2 ახალი სტანდარტია, თუმცა მისი ბევრი ელემენტი გაძლიერდა და გადატანილ იქნა არსებული ხმს 1-დან და ასს 220 -დან. ძირითადი ცვლილება მოიცავს 2 წლიანი „მოცდის“ პერიოდს (სანამ გარიგების პარტნიორი იკისრებს გარიგების ხარისხის მიმოხილველის როლს), გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულებას დროის შესაფერის მომენტებში გარიგების პერიოდში და „უკანდახევის“ მოთხოვნას იმის განსასაზღვრად შესრულდა თუ არა ხმს 2-ის მოთხოვნები.

რა თქმა უნდა შესაძლებელია ფირმამ განსაზღვროს, რომ არ არსებობს გარიგებები, რომელთათვისაც ხარისხის მიმოხილვა სათანადო საპასუხო ღონისძიებაა ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის, რომელ შემთხვევაშიც ხმს 2 არ გამოიყენება.

ასს 220 (შესწორებული)

ასს 220 (შესწორებული ვერსია) ეხება ფინანსური ანგარიშგებების აუდიტს და ყურადღებას ამახვილებს თუ როგორ იმართება ხარისხი აუდიტორული გარიგების დონეზე გარიგების პარტნიორის მიერ. ის მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია ხარისხის მართვაზე და უზრუნველყოფაზე გარიგების დონეზე, რომ დროულად გაარკვიოს არსებობს თუ არა და გამოყოფილია თუ არა საკმარისი და სათანადო რესურსები ხელმძღვანელობის, ზედამხედველობის და მიმოხილვის ხასიათის, ვადების და მასშტაბის განსასაზღვრად. ის ასევე შეიცავს „უკანდახევის“ დებულებას, რომელიც გარიგების პარტნიორისგან მოითხოვს განსაზღვრას გააკეთეს თუ არა ყველაფერი საერთო პასუხისმგებლობის ასაღებად აუდიტის მართვასთან და ხარისხის მიღწევასთან დაკავშირებით და იყო თუ არა მათი ჩართულობა საკმარისი და სათანადო.

განხორციელების მხარდაჭერა

ამ სტანდარტების შემუშავება უჩვენებს ბუღალტრული აღრიცხვის გლობალური პროფესიის არსებით განვითარებას და ცვლილებას მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც მათში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ცვლილებები ფირმების მიერ ხარისხის მართვასთან

დაკავშირებით. რამდენადაც ფირმები ახდენენ შიდა პროცესების და სისტემების კორექტირებას, პროფესიულმა ორგანიზაციებმა ასევე უნდა განახორციელონ თავიანთი ტრენინგის და მხარდაჭერის კორექტირება, რადგან მათ წევრებს დასჭირდებათ მითითებები ახალი სტანდარტების ეფექტურად და ეფექტიანად შესასრულებლად (იხ. წინა სტატია, [‘New Quality Management Standards: A Tremendous Opportunity for PAOs’](#) („ხარისხის მართვის ახალი სტანდარტები: უდიდესი შესაძლებლობა ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციებისთვის“).

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) შეიმუშავა სასარგებლო მასალების სპექტრი, მათ შორის:

- გაცნობითი ვიდეომასალა თითოეული სტანდარტის მიმოხილვით, რომელიც ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ, მანდარინის და ესპანურ ენებზე.
- დასკვნების საფუძვლები და ფაქტობრივი ინფორმაციის ბიულეტენები თითოეული სტანდარტისთვის
- IAASB -ის თავმჯდომარის ტომ საიდენსტაინის მიმოხილვითი სტატია.

[ეს მასალები ხელმისაწვდომია IAASB -ის ვებგვერდზე, სადაც ასევე გამოქვეყნდება მითითებები სტანდარტების პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით, დამატებითი ვიდეოები და ხშირად დასმული შეკითხვები.](#)

ამასთან ერთად, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC) იკვლევს შესაძლებლობებს ცნობიერების და ცოდნის ასამაღლებლად ახალი სტანდარტების შესახებ, მათ შორის, პრაქტიკოსების დასახმარებლად დამატებითი რესურსების გაზიარებით და შემუშავებით. ყურადღება მიაქცეით წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ დამატებით ინფორმაციას. მხარდაჭერის რესურსები და ბევრი დამატებითი მითითება ასევე ხელმისაწვდომია IFAC -ის ცოდნის პორტალის [საერთაშორისო სტანდარტების მხარდაჭერის](#) განყოფილებაში.

თუ გაქვთ მინიშნებები, რეკომენდაციები ან სანიმუშო პრაქტიკის მაგალითები თუ როგორ გეგმავს თქვენი ფირმა ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების დანერგვას, მოხარულნი ვიქნებით მივიღოთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ქვევით, კომენტარების ველში. ასევე გთხოვთ რომ პასუხი გასცეთ მოკლე კითხვარს, რომელიც დაგვხმარება შინაარსის დაგეგმვასა და შემუშავებაში იმისათვის რომ შევძლოთ თქვენი მხარდაჭერა ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების დანერგვაში.

IAASB, IFAC -ისგან დამოუკიდებელი, სტანდარტების შემმუშავებელი საბჭოა, რომელმაც შეიმუშავა [განხორციელების გეგმა](#), სადაც წარმოდგენილია 2021 წლის განმავლობაში გამოსაქვეყნებელი რესურსების ჩამონათვალი. ქვევით მოცემული კითხვები ხელს შეუწყობს IFAC -ის ძალისხმევას ამ მიმართულებით.

იყენებთ თუ არა IFAC -ის [ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებისთვის \(SMPs\)?](#)

- ხშირად
- ხანდახან
- იშვიათად
- არა

IFAC -ისგან რა სახის დახმარება იქნება თქვენთვის ყველაზე სასარგებლო, როდესაც დაიწყებთ ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების განხორციელებას?

- ეტაპობრივი მითითებები ხარისხის მართვის 1- ლი საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებისთვის (ISQM 1)
- ილუსტრაციული მაგალითები

- დამხმარე პრაქტიკული საშუალებები/ შაბლონები, რომელთა მორგებაც შესაძლებელია საჭიროებებზე
- ხარისხის მართვის სახელმძღვანელოების ნიმუშები (მაგ., ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე პირებისთვის და ან ფირმისთვის, რომელსაც 2-5 პარტნიორი ჰყავს)
- სხვა - ჩაწერეთ (სავალდებულოა)

რომელია ყველაზე სასარგებლო გზა IFAC -ისგან დანერგვასთან დაკავშირებული დახმარების მისაღებად?

- ყოვლისმომცველი წერილობითი გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ხმს 1-ის რვა კომპონენტს
- ვებინარების სერია, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ ნაბიჯებს/ ღონისძიებებს მცირე და საშუალო სიდიდის პრაქტიკის მქონე ფირმებისთვის
- მოკლე სტატიები / პუბლიკაციები ხმს 1-ის შერჩეულ ასპექტებთან დაკავშირებით
- სხვა - ჩაწერეთ (სავალდებულოა)